საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

პაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№142 (6368) 27 ნოემბერი 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა, და პერსპექტიული დაგეგმვის სამინისტრო.

შეტანილ იქნეს დამატებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში.

აღნიშნული კანონის 26-ე მუხლში სიტყვების: „ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის სამინისტრო“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

22 ნოემბერს მუშაობა განაახლა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ. იგი გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ მისი საკითხების განხილვას.

დღის წესრიგში პირველ საკითხად აღნიშნული იყო რესპუბლიკის პარლამენტის მუდმივი კომისიების შემადგენლობათა დამტკიცება. წინადადებით ამ საკითხზე გამოვიდნენ კომისიათა თავმჯდომარეები: **კანონმდებლობისა** და კანონიერების დაცვისა—**ნუგზარ მოლოდინაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო** კომისიისა—**ტარიელ გელანტია, ეკონომიკური** რეფორმისა—**გივი თაქთაქიშვილი,** ჰუმანიტარული და **სოციალური** საკითხებისა—**რობერტ პეტრიაშვილი,** მრეწველობის, **ენერგეტიკის,** მშენებლობის, **ტრანსპორტის** და კავშირგაბმულობისა —**ბაკურ გულუა,** სოფლის **მეურნეობის,** მიწათსარგებლობისა **და ეკოლოგიისა** —**ირაკლი ჩხეიძე. საერთაშორისო** ურთიერთობის **კომისიის** თავმჯდომარის მოადგილე **მერაბ ურიდია,** კულტურის, **განათლებისა** და **მეცნიერების კომისიის** თავმჯდომარე —**თეიმურაზ ქორიძე,** თავდაცვის, **ეროვნული უშიშროებისა** და **მართლწესრიგისა** —**ვაჟა ადამია.**

განსახილველი საკითხის გამო აზრთა გაზიარების შემდეგ სესიამ დაამტკიცა ამ კომისიათა შემადგენლობები.

შემდეგ სიტყვა მიეცა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **თენგიზ სიგუას.** მან წარმოადგინა რესპუბლიკის მინისტრთა ახალი კაბინეტის ჩამოყალიბების, ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების სტრუქტურათა რეორგანიზაციის განხორციელების მთელი რიგი წინადადებები, დაასახელა მინისტრთა პოსტების კანდიდატურები. ამის შემდეგ კანდიდატურათა განხილვა გადაეცა მუდმივ კომისიებს, რადგან მოქმედი კანონის თანახმად უზენაესი საბჭოს სესიას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის წინადადებასთან დაკავშირებით მხოლოდ ამ კომისიებში მათი წინასწარი განხილვის შემდეგ, რაც შედგა კიდეც შესვენების დროს.

შესვენების შემდეგ, მიიღო რა დადგენილება დღემდე მოქმედი ოფიციალური დღესასწაულების გაუქმებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის—26 მაისის, აგრეთვე ტრადიციული ქრისტიანული დღესასწაულების აღდგენის შესახებ, პარლამენტმა განაგრძო მინისტრთა თანამდებობაზე კანდიდატების განხილვა. მუდმივ კომისიათა რეკომენდაციებით სესიამ დანიშნა: იუსტიციის მინისტრად — **ჯონი ხეცურიანი,** განათლების მინისტრად—**ლია ანდღულაძე,** კულტურის მინისტრად—**ნოდარ წულეისკირი,** სახტელერადიოს თავმჯდომარედ—**თეიმურაზ კვანტალიანი,** მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის მინისტრად—**ირაკლი უორდანია,** კავშირგაბმულობის მინისტრად—**ფელიქს ტყებუჩავა,** ვაჭრობის მინისტრად—**თამაზ გველესიანი,** ფინანსთა მინისტრად—**გურამ აბსანძე.** შინაგან საქმეთა მინისტრად **დილარ ხაბულიანი,** საგარეო საქმეთა მინისტრად — **გიორგი ხოშტარია,** ტრანსპორტის მინისტრად — **ალექსანდრე ჩხეიძე,** ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად—**ირაკლი მენაღარიშვილი.**

სესიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის დამატებითი ცვლილებანი. შემდეგ დეპუტატებმა განიხილეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის გამო მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დადგენილების პროექტი. საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა ყველა აქტი, რომელიც მიიღო ამასწინათ გამოცხადებულმა ეგრეთ წოდებულმა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ“, რადგან ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციას, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებს და ჯერ კიდევ მაშინ საქართველოს სს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებას. ამასთანავე, დადასტურებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს უწინდელი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შემდგომშიც დაცული იქნება რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, როგორც ეს გარანტირებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპებით. შესწორებათა შეტანისა და დაზუსტების შემდეგ სესიამ მიიღო დადგენილება.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის აკაკი ასათიანის ინფორმაცია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობაში ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ და ცნობად მიიღეს იგი.

პარლამენტმა მიიღო განცხადება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის გამო, რომელიც ახლახან შემოვიდა რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. საქართველოს უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ მისი სრული სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღდგენის გზაზე, რომლებიც მან დაკარგა 1921 წლის თებერვალში მაშინდელი საბჭოთა რუსეთის მთავრობის მხრივ შეიარაღებული აგრესიის შედეგად. იმ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირში მოქმედი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სტრუქტურები გულისხმობენ ცენტრზე მეტისმეტ დამოკიდებულებას და არმევენ რესპუბლიკას ნამდვილი სუვერენული სახელმწიფოს ატრიბუტიკას, საქართველოს პარლამენტს შესაძლებლად არ მიაჩნია ხელი მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, იკისროს რაიმე ვალდებულებანი. შემდეგ დეპუტატებმა დაამტკიცეს საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შემადგენლობა.

როგორც ცნობილია, წინა სხდომაზე სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედების შეჩერების თაობაზე. ამჯერად პარლამენტმა დაამტკიცა შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში, რომლებიც აუქმებენ წინათ გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისაგან თავის არიდებისათვის.

უზენაესმა საბჭომ ჩამოაყალიბა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შექმნილი სიტუაციის შემსწავლელი და 1983 წლის 18 ნოემბერს თვითმფრინავის გატაცების ცდის მონაწილეთა ბედის დამდგენი კომისია. სხვათა შორის, ეს კომისია შეიქმნა დეპუტატ ვიქტორ დომუხოვსკის მიერ 14 ნოემბერს სესიის სხდომაზე შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის თანახმად.

დეპუტატებმა განიხილეს და დაამტკიცეს კანონი ამნისტიის შესახებ.

დასასრულს სესიის მონაწილეთა წინაშე განცხადებით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. მან, კერძოდ აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანს საქართველოში მოქმედი ამბები, წარმოადგენს მშვიდობიან რევოლუციას. მაგრამ არიან ძალები, რომლებიც თავიანთი უპასუხისმგებლო მოქმედებით ქმნიან ჩვენში ვითარების დესტაბილიზაციის რეციდივებს და ამით ხელს უწყობენ ცენტრის იმ წრეებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ უკან დაგვაბრუნონ. ეს უნდა შეიგნოს თითოეულმა და თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს ნაოელი მერმისის დადგომაში. ამჟამად ჩვენ უკვე აღარა გვყავს საბჭოთა მილიცია, იქმნება ეროვნული მილიცია, და ის, ვინც მის წინააღმდეგ გაილაშქრებს, ქართველი ერის წინააღმდეგ ილაშქრებს.

ამით სესიამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

არსებული უქმე დღეების გაუქმების და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ

იზიარებს რა ქართველი საზოგადოებრიობის აზრს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დღემდე არსებული ყველა დღესასწაული და მათთან დაკავშირებული უქმე დღე, გარდა ახალი წლის (1 იანვარი) უქმე დღისა.

გაუქმდეს ამასთან დაკავშირებული ყველა ნორმატიული აქტი.

2. საქართველოს სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებლობის აღდგენის დღე 26 მაისი გამოცხადდეს დღესასწაულად და უქმე დღედ.

3. აღდგენილ იქნეს საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებული შემდეგი უქმე დღეები:

ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (თარიღი გარდამავალია).

ნათლისღება—განცხადება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი —19 იანვარი (ძველი სტილით 6 იანვარი).

მცხეთობა (სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული)—14 ოქტომბერი (ძველი სტილით 1 ოქტომბერი).

მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა (მარიამობა)—28 აგვისტო (ძველი სტილით 15 აგვისტო.)

გიორგობა—23 ნოემბერი (ძველი სტილით 10 ნოემბერი).

შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი—7 იანვარი (ძველი სტილით 25 დეკემბერი).

გამოცხადდეს აგრეთვე უქმე დღედ მიცვალებულთა მოხსენიების დღე (აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, თარიღი გარდამავალია).

4. კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი.

წაიკითხეთ შიგა გვერდებზე:

თბილისის სეზონი დადგა

როგორ შეხვდა ქალაქი?

II გვ.

ჩვენი ყოფა-ტრადიციები

„გამხიარულდი გულხარო“

II-III გვ.

იაკობ გოგებაშვილი-150

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი

თბობის სეზონი დადგა

როგორ შეხვდა ქალაქი?

სინოპტიკოსები ვარაუდობენ, რომ წელს სუსხიანი ზამთარი იქნება, გამართლდება თუ არა მათი პროგნოზი, სხვა საქმეა, მაგრამ ზამთრის თბობის სეზონს მოზადებული რომ უნდა შეხვედროდით, ეს საეჭვო არ არის.

წინა წლების უჩვეულო დიდთოვლობისა და გაჭიანურებული ზამთრის მწარე უსიამოვნებანი გაითვალისწინეს ქალაქის მრავალდარგოვანი საბინაო კომუნალური გაერთიანების, საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და დროულად დაიწყეს მზადება თბობის სეზონისთვის. გადამწყვეტი ღონისძიებანი განხორციელდა იმისთვის, რომ მშრომელები არ განიცდიდნენ სითბოს, სინათლის, სასმელი წყლის, სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას, ჰქონდეთ ნორმალური პირობები მუშაობისა და ცხოვრებისთვის.

რაისაბჭოს აღმასკომმა დროულად გაანაწილა შეშის ფონდი იმ ორგანიზაციებზე, რომელთაც არ აქვთ ცენტრალიზებული გათბობა. შეშა დაამზადეს სახელმწიფო და სამეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობებმა. მიუხედავად ბენზინის დიდი დეფიციტისა, ბევრმა წარმოება-დაწესებულებამ დროულად შემოზიდა და დაამუშავა ზამთრის თბობის სეზონისათვის საჭირო შეშა. სამწუხაროდ, რამდენიმე ორგანიზაციას დღესაც შემოუზიდავი აქვს შეშა, საინტერესოა, რომ მოთოვოს, რას იზამენ.

სიძნელეების მიუხედავად ზამთრის სეზონისთვის რაიკოოპერატივის გამგეობამ შემოზიდა და ზამთრის მარაგში ჩაწყობილია საჭირო რაოდენობის პურის ფქვილი, ბურღული, შაქარი, მარილი, საპონი, ნავთი და სხვა პირველი მოთხოვნილების საქონელი.

მრავალდარგოვანი საბინაო კომუნალური გაერთიანების მუშაკებმა (დირექტორი მ. მიქაძე) 10 ნოემბრისთვის შეასრულეს ქალაქის თბომეურნეობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის სამუშაოები. კაპიტალურად შეკეთეს ქალაქის ცენტრალური საქვაბე მეურნეობა. რეკონსტრუქცია გაუკეთდა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 40 ბინიანი საცხოვრებელი სახლის საქვაბეს. საფუძვლიანად შეკეთდა და სრულ წესრიგში ჩადგა აგრეთვე, პარტიის რაიკომისა და სასტუმროს საქვაბე მეურნეობები და ქალაქის თბოქსელის მთელი სისტემა, დ. აღმაშენებლის ქუჩის №43 მდებარე კომუნალური ბინის საქვაბე მეურნეობა გადააკეთეს მაზუთზე მომუშავედ, ამასთან დაიდგა ახალი სახურეებს, ისურვეს ცენტრალური გათბობის სისტემის ასეთი დონითა და შეუფერხებლად მუშაობა.

გათბობით კმაყოფილნი არიან სტალინის ქუჩაზე მდებარე 16 ბინიანი კომუნალურ სახლში მცხოვრებნი: ბ. მიქაძე, ბ. ჭაბუკიანი, ჯ. ხალიანი, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 40 ბინიანი კომუნალური სახლების მცხოვრებლები რ. შაუბულიანი, უ. ჯიაძე, ბ. საღინაძე, შ. ლარცულიანი, კ. ფრუიძე, ი. ჭაბუკიანი, ტრანსფორმატორი, რომელიც ელექტროენერგიით მოამარაგებს ამ ბინის მცხოვრებლებს.

12 ნოემბერს მოეწყო თბოსისტემის გასინჯვა, ხოლო 15 ნოემბრიდან ექსპლოატაციაში შევიდა ქალაქის თბომეურნეობები. დღეს-დღეობით ყველა საქვაბე შეუფერხებლად მუშაობს, რაც ჩვენი თვალით ვნახეთ. წარმოება-დაწესებულებების მუშაკებმა და კომუნალური ბინების მცხოვრებლებმა გვითხრეს, რომ წელს წინა წლებთან შედარებით ორჯერ უკეთესია გათბობა.

ცენტრალური აფთიაქის გამგემ ნ. ცხვედიანმა, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მუშაკებმა მ. მუშკუდიანმა, კ. ჩიქოვანმა, ნ. მდივანმა, რაიკოოპერატივის ვაჭრობის განყოფილების გამგემ გ. ქარსელაძემ, კულტურის სახლის მუშაკებმა რ. გოგიძემ, ძ. ახვლედიანმა, საზკვების, პურ-კომბინატის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საპარიკმახეროს, სამკერვალო საამქროს მუშაკებმა - მადლიერების გრძნობა გამოხატეს კომუნალურ-საწარმოთა კომბინატის მუშაკებისადმი, რომლებმაც გათბობის სისტემის მბრივ შესანიშნავი პირობები შეუქმნეს მუშა-მოსამსახურეებს, ისურვეს ცენტრალური გათბობის სისტემის ასეთი დონითა და შეუფერხებლად მუშაობა.

გათბობით კმაყოფილნი არიან სტალინის ქუჩაზე მდებარე 16 ბინიანი კომუნალურ სახლში მცხოვრებნი: ბ. მიქაძე, ბ. ჭაბუკიანი, ჯ. ხალიანი, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 40 ბინიანი კომუნალური სახლების მცხოვრებლები რ. შაუბულიანი, უ. ჯიაძე, ბ. საღინაძე, შ. ლარცულიანი, კ. ფრუიძე, ი. ჭაბუკიანი, ც. ურთმელიძე და სხვები.

ბუნებრივია, გათბობის დაწყებამდე შემოზიდა 100 ტონა მაზუთი, 40 ტონა ქვანახშირი, 1,5 ტონა დიზელის საწვავი. ყოველდღიურად სჭირდებათ 8-10 ტონა მაზუთი და დღეს არსებული მარაგი 10-12 დღეს იკმარებს. საწვავით გაერთიანებას ცენტრალიზებული წესით უნდა ამარაგებდეს ქუთაისის ნავთობბაზა, მაგრამ ამ მხრივ შეფერხებებია და საწვავის შემოზიდვის უზრუნველყოფისათვის წყლისმზიდ სპეციალურ ავტომანქანას იყენებენ მაზუთის საზიდად და ყველა ზომებს იღებენ თბოსისტემის შეუფერხებელი მუშაობისთვის.

გატარდა და ტარდება ღონისძიებები, რათა ზამთრის პერიოდში შეფერხებები არ იქნეს სასმელი წყლით მომარაგების საქმეში. შეკეთდა ძრავები, მიმდინარეობს ქსელის ავარიული ნაწილების აღდგენა.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა ზამთრის თბობის სეზონისათვის ქალაქის ზოგი წარმოება-დაწესებულება ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად მომზადებული. ცაგერის რაისაავადმყოფოსათვის სახელმწიფო სატყეო მეურნეობას უნდა დაემზადებინა და შემოეზიდა 75 კუბამეტრი შეშა, საჭირო თანხა ადრე გადაურიცხეს, მაგრამ 22 ნოემბერს შეშა შემოზიდული არ იყო. საავადმყოფოს აქვს საკუთარი საქვაბე, იგი უმოქმედოდაა, გათბობის სისტემა გადართული აქვთ ქალაქის ცენტრალურ ხაზზე, მაგრამ რადიატორებს უმრავლესობა არ თბება, პალატებში ავადმყოფები გათბობისთვის ხმარობენ ელექტროგამახურებლებს, ერთი სიტყვით, რაისაავადმყოფოს ხელმძღვანელობამ - სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს თბობის სისტემის წესრიგში მოყვანისთვის.

ჩვენთან საუბარში გულისტკივილი გამოთქვეს სურათების გალერეის დირექტორმა ნ. ღურჭუმალიძემ და სხვა მუშაკებმა იმის გამო, რომ წლების მანძილზე უმოქმედოდაა ძვირად ღირებული თბობის სისტემა, ხოლო ამ დაწესებულებაში ცეცხლის ღუმელების გამოყენება არ შეიძლება. მუშაკები იძულებული არიან გათბობისათვის გამოიყენონ ელექტროგამახურებლები.

სამუსიკო და სამხატვრო სკოლებშიც უმოქმედოდაა წლების წინათ დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა.

თბობის სეზონისთვის ქალაქის ზოგიერთი სხვა წარმოება-დაწესებულებაც არ არის მზად. საჭიროა მიღებული იქნას სასწრაფო ზომები თბობის სისტემების წესრიგში მოსაყვანად, ან შეშისა და თუნუქის ღუმელების დროულად შეძენისათვის. ელექტროგამახურებელი საშუალებების გამოყენება თბობისათვის გამოიწვევს ელექტროქსელის დაზიანებას, რასაც ბევრი სიძნელე მოყვება.

ვლ. დავითულიანი.

ყაზახეთის სსრ. პავლე ლეონტიევი ყოველთვის დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა, რათა თავის მიწაზე სურვილისამებრ ემუშავა. ახლა იგი 63 წლისაა, განათლებით აგრონომი. მრავალრიცხოვანი კომისიების მუშაობის შემდეგ კრასნოდარის რაიაღმასკომმა მას მისცა სახელმწიფო აქტი 260 ჰექტარი მიწის სარგებლობაზე მემკვიდრეობის უფლებით.

სურათზე: პ. ლეონტიევი (ცენტრში) ცოლ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად.

ნ. კუზნეცოვის ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ჩვენი ყოფა-ცხოვრებები

ქვითხუროობის ტრადიციები თვალსაჩინოდაა გამოხატული ბუხრების მშენებლობაში. გათბობის გარდა ბუხარი წარმოადგენდა სახლის სამკაულს და ამიტომ მისი მშენებლობა ოჯახისათვის საკმაოდ პრესტიჟული იყო.

როგორც ცნობილია, ბუხარი კერიდან განვითარდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მე-17-მე-18 საუკუნეებში ბუხარი უფრო მეტად დეკორატიული მიზნებისათვის გამოიყენებოდა და მათი შემკულობა ამ მიმართებით განსაკუთრებით დაიხვეწა. მაგრამ ფაქტია, რომ ბუხარი თავდაპირველად სახლის გასათბობად იყო გამიზნული და მისი დეკორატიული ფუნქციის გაზრდა გამოწვეული იყო მას შემდეგ, რაც საცხოვრისის გათბობის უფრო ეფექტურ საშუალებას მიაგნეს.

ქართულ სინამდვილეში ბუხრის მშენებლობის ხერხები შემოტანილია დასავლეთის ქვეყნებიდან, მაგრამ ჩვენში არსებულმა ხუროთმოძღვრულმა ტრადიციებმა განაპირობეს მათი გაფორმების ეროვნული სტილი. ბუხრის მშენებლობა უმტკივნეულოდ გადმოირგო ქართულ ნიადაგზე და ისეთი ეროვნული მოტივებით შეიმოსა, რომ დღეს თითქოს წარმოუდგენლად გვეჩვენება მათი წარმომავლობის არაქართულობა.

ბუხრების მშენებლობას საქართველოში პროფესიული ხასიათი ჰქონდა. სპეციალობა „მებუხრე“ წარმოიქმნა იმ მოთხოვნილების საფუძველზე, რომელიც არსებობდა შეძლებული მოსახლეობის შიგნით და წაყენებული პირობები ხელოვანს ავალდებულებდა სათანადოდ დაუფლებოდა ბუხრის შენების ყველა ხერხს სწორედ ასეთი დაინტერესება ქმნიდა ბუხრის ისეთ მაღალმხატვრულ და პრაქტიკულად მოსახერხებელ ტიპებს, რომლებიც დასტურდება საქართველოს ყველა კუთხეში.

ბუხრის მშენებლობას საგანგებო წესები გააჩნია, რაც გამოიხატება, როგორც შენების თავისებურებაში, ასევე საბუხრე მასალის სწორად შერჩევაში. ნებისმიერი ქვა ბუხრისათვის არ გამოდგება, ცვალებადობას განიცდის. ასევე არ შეიძლება საბუხრე ქვის ასაფეთქებელი ნივთიერებით მოპოვება, რადგან აფეთქება „ლახავს“ ქვას და მიზეზი შემდეგ გამოჩნდება. საბუხრე ქვა „უტალო“ და „უარტაშანო“ უნდა იყოს. ბუხრის საცეცხლე ადგილებისათვის საუკეთესოდ ითვლება მოშავო-მოლურჯო, ზოგჯერ კი მოწითალო ქვა, ამ ქვის ღირსება მისი ცეცხლგამძლეობით გამოიხატება.

„გამხიარულდი

ბუხრის იმ ადგილს, სადაც ცეცხლი ინთება, „ყვერბი“ ანუ „ტაფა“ ეწოდება. ყვერბი ბუხრის საფუძველსაც წარმოადგენს, რომელზედაც იდგმება ბუხრის ფეხები, ფეხებზე დაბჯენილია თაღიანი „წინაპირი“, შემდეგ მიდის ბუხრის „სასანთლე“ ანუ „თარო“, იგი საკმაო მანძილითაა გამოყოფილი კედლისაგან და ბუხრის არქიტექტონიკაში თავისი მოხდენილობა შეაქვს. სასანთლის ზევით იწყება „ყელი“. ბუხრის დამამთავრებელ დეტალს მისი „ქუდი“ ანუ „კალამი“ (ლეჩხუმურად) წარმოადგენს, ესაა ოთხკუთხედად გათლილი ქვის ჩარჩო, რომელიც ჩამოეცმევა ბუხრის ყელს და ამაგრებს მას. ბუხრის ავკარგიანობისათვის მთავარია წინაპირისა და „ზურგის“ დაყენება. წინაპირის საკვამლე მხარე გულამოდებულია, ბუხრის ზურგი კი უკანაა „გადაყინთული“, რაც ხელს უწყობს კვამლის დაუბრკოლებელ მოძრაობას ქვემოდან ზემოთ. ბუხრის ყელი ძალზე სწორად უნდა იქნეს აგებული, კვამლი გამოშვერილებს არ უნდა ხვდებოდეს, თორემ უკან დაბრუნებს. ბუხარში თუ კვამლი კარგად ადის, იტყვიან „კარგი მეკვამურია, კარგი წევა აქვსო“. ბუხრის წინაპირი, სასანთლე და ყელი საუკეთესო თეთრი ქვით კეთდება, ამასთან მხედველობაში მიიღება ქვის სირბილე, რაც აუცილებელია ჩუქურთმის ამოჭრისათვის.

ბუხარი შემკულობის გარეშე ვერ ჩაითვლება ისეთ ბუხრად, რომელიც მის პატრონს სხვათა თვალში გამოაჩენს. ორნამენტები ბუხრებზე სხვადასხვა სახისა არსებობს, როგორც გეომეტრიული, ასევე მცენარეული. ბუხრის შემკულობაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ზოომორფულ ფიგურებს, სიცოცხლის ხესა და ბორჯღალას, რომლებიც მეტწილად ფასადის ცენტრალურ ადგილას გვეგლინება, სიცოცხლის ხისა და ყვავილების სტილიზაცია თავს იჩენს ბუხრის მთელ მორთულობაში და განსაკუთრებული არქაულობით გამოირჩევა. როგორც აკადემიკოსი გ. ჩიტაია აღნიშნავდა, კერის კულტი თავისი შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერა მარადიული სიცოცხლის სიმბოლო, ამიტომ მას ამკობდნენ ევროპოროპეული დანიშნულების ორნამენტებით, ღვთაებების გამოსახულებებით და სიმბოლური ნიშნებით“. ასეთივე თაყვანისცემის საგანი იყო ქართული დარბაზის დედაბოძი, რომლის შემკულობის წესი უძველესიდან მომდინარეობს. დედაბოძი, როგორც სიუხვისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლო, გამუდმებული თაყვანისცემის ობიექტს შეადგენდა.

ბუხარი უშუალოდ ჩნდება საცხოვრისის ახალ ტიპში. ძველებური ტიპის საცხოვრებლის მოშლამ გამოიწვია სახლის ახალი ტიპის წარმოქმნა, რის ნიადაგზეც მოხდა გასათბობი საშუალების ცენტრალური ადგილიდან კედელში გადანაცვლება და მოგვევლინა ბუხრის სახით. ეს ცვლილება ძირითადად უკავშირდება დიდი ოჯახის დაშლას და გარკვეულად ემთხვევა ისეთი

იაკობ გოგებაშვილი — 150

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი

გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში პედაგოგიური იდეების გავრცელებისათვის, მისი პროპაგანდისათვის თითქმის არ არსებობდა პედაგოგიური ლიტერატურა. ამ დიდ საქმეს ხელი მოჰკიდეს ქართველმა განმანათლებლებმა.

ილია ჭავჭავაძე პედაგოგიური ლიტერატურის მნიშვნელობის და მისი შექმნის აუცილებლობის შესახებ წერდა: „ევროპელ განათლებულ ხალხებს აქვთ ვრცელი პედაგოგიური ლიტერატურა და მათში გამოდის ბევრი ჟურნალები, სადაც მხოლოდ ის კითხვები განიხილებიან, რომელნიც აღზრდას შეეხებიან, ჩვენში სულ არაფერი არის ამაზედ დაწერილი და ძლიერ ცოტამ იცის, რომ არსებობს მეცნიერება—პედაგოგია, რომლის საგანი არის ყმაწვილების აღზრდა“.

სამოციან წლებში ჯერ კიდევ არ იყო დამუშავებული აღზრდისა და სწავლების თეორიის ძირითადი საკითხები. ი. გოგებაშვილის შეფასებით პედაგოგიკის და სახალხო განათლების დაწვრილებით განხილვას მეტად დიდი და პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს: „იგი აუცილებელი პირობაა სახალხო განათლების საქმის რაციონალურად დაყენებისათვის, რაც სრულიად სამართლიანად ადამიანთა შორის ყოველგვარი ცრურწმენის, მანკიერების, ტანჯვის შემცირებისა და ნათელ შეხედულებათა, სათნოებისა და ცხოვრების სიამეთა გაძრავლების ძლიერ საშუალებად ითვლება“.

აქედან გამომდინარე იმ დროს (60-იან წლებში—დ. კ.) პედაგოგიური თეორია განიხილებოდა არა როგორც თვითმიზანი, არამედ სახალხო განათლების სისტემის სწავლებისა და აღზრდის პრაქტიკის გაუმჯობესების საშუალება. ეს შეხედულება ქართული მეცნიერული პედაგოგიური აზრის სიმწიფის მაჩვენებელი იყო.

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ პრესას. ჟურნალ-გაზეთებში ფართოდ აშუქებდნენ სწავლა-აღზრდის საკითხებს, პედაგოგიურ შეხედულებებს, პედაგოგიკის ტიკის გაუმჯობესების საშუალება. ეს შეხედულება ქართული მეცნიერული პედაგოგიური აზრის სიმწიფის მაჩვენებელი იყო.

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ პრესას. ჟურნალ-გაზეთებში ფართოდ აშუქებდნენ სწავლა-აღზრდის საკითხებს, პედაგოგიურ შეხედულებებს, პედაგოგიკის ჩამოყალიბება წილად ხვედა ილია ჭავჭავაძეს და იაკობ გოგებაშვილს.

დღეს მკვლევარეთა ერთი ჯგუფი ქართული პედაგოგიური მეცნიერების მამად ილია ჭავჭავაძეს თვლის, ზოგიერთი—ილია ჭავჭავაძეს და იაკობ გოგებაშვილს. მკვლევართა ნაწილს ეს მოსაზრებები არ მიიჩნია სათანადოდ არგუმენტირებულად და დასაბუთებულად.

ამ საკითხზე ი. ჭავჭავაძე ასეთ ფრაზას ამბობს: „ეს ფრაზა ... ...

„გამხიარულდი გუნარო...“

(დასასრული)

სამყოფ ოთახებში. მოჩუქურთმებული. ფეხებიანი ბუხრები დიდ სასტუმრო (ე. წ. „ზალა“) ოთახებში გვხვდება და საგანგებო შემთხვევისას (სტუმრიანობა, ქორწილი, ქელეხი) გამოიყენება, ამიტომ მათი გაფორმების თავისებურებაში დიდ ადგილს იკერს ჩუქურთმა, რაც ბუხარს სამკაულის იერს ანიჭებს.

შემკულობის გარდა, ბუხარმა შემოინახა ადამიანთა დამოკიდებულების ზოგი ისეთი წესი, რომელიც ადრე კერასთან იყო დაკავშირებული. ლიტერატურაში, რომელიც ბუხრის ადგილმდებარეობის განსაზღვრას ეხება, არ არის დადგენილი, თუ რომელ მხარეს უნდა აღემართათ იგი, ამ მხრივ არც ჩვენთან შეინიშნება გარკვეული წესი.

ამ ბოლო დროს ბუხარს რკინის ღუმელი გამოუჩნდა კონკურენტად, რის გამოც საცხოვრისში ბუხრის ფუნქცია კიდევ უფრო დაქვეითდა—განსაკუთრებით ზამთარში. მხოლოდ „სამზადებს“ შემორჩათ მოქმედი ბუხარი. საცხოვრებლის თანამედროვე ახალ ტიპში ქვის ბუხარი აგურისამ შეცვალა, რომელიც არა იმდენად საჭიროებისათვის შენდება, რამდენადაც ტრადიციულობისა და სიძველის პატივსაცემად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ბუხრები ყურადღებას იქცევს, როგორც ქვის დამუშავების მაღალი კულტურით, ასევე შემკულობის მანერით. ბუხრის მორთულობა სათავეს იღებს კერისა და დედაბოძის გაფორმების უძველესი წესებიდან და ამდენად იგი მოსახლეობის რელიგიურ და კოსმოგონიურ შეხედულებათა დანაშრევების მატარებელია.

ე. ნადირაძე.

ჯანმრთელობისთვის... გივი მაზმიშვილთან

თავის განუხორციელებელ ოცნებას საჭიდაო ხალიჩაზე ყველაზე ძლიერი ყოფილიყო, გივი მაზმიშვილმა გადწყვიტა სხვა მხრივ შეეხსნა ხორცი—გამხდარიყო იმდენად ძლიერი პიროვნება, რომ დახმარება გაეწია დაავადებული ადამიანის ორგანიზმისათვის. სპორტიდან რომ წავიდა, მან თავისი თავი მთლიანად მიუძღვნა ამ კეთილშობილ საქმეს. დღეს კი მას, რომელიც ადამიანებს თავიდან აცილებს არამარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ სნეულებასაც, ბევრი გამოჩენილ ფსიქოთერაპევტს ანატოლი კაშპიროვსკის ადარებს.

მაშ, რა ხდება გივი მაზმიშვილის კაბინეტში? მთავარი—აქ მკურნალობენ ჩაგონებით და თვითჩაგონებით. დანარჩენის შესახებ ის თვითონ მოგვიყვება: —ნევროზით დაავადებულნი—საერთოდ, ჯანმრთელი ადამიანები არიან, მაგრამ ფსიქოლოგიური გადახრით. მათი ორგანიზმის მდგომარეობა ბევრად არის დამოკიდებული მათს საკუთარ განწყობაზე, ჩაგონებადობაზე. ჩვენს მუშაობაში მთლიანად გამორიცხულია მედიკამენტები. ფსიქოთერაპია წმინდა ფსიქოლოგიური ზემოქმედებაა პაციენტის შეგნებასა და ქვეცნობიერებაზე. იგი ეხმარება მას გათავისუფლდეს „შავი“ აზრებისაგან საკუთარ თავსა და გარემოზე. წარმატების აუცილებელი პირობაა კონტაქტი ექიმსა და პაციენტს შორის. ამიტომ თავიდანვე ვცდილობ მივაღწიო სრულ ურთიერთნდობას. მე რომ დამიჯერებენ, ადამიანები თავის თავსაც დაუჯერებენ, დარწმუნდებიან თავიანთ შესაძლებლობებში. შემდეგ კი, ინდივიდუალობის მიხედვით,—გულითადი საუბარი, ჰიპნოზი, ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ჩემი მაზანი ვაიძულო, მათი ორგანიზმი შეებრძოლონ გაჭირვებას, ხოლო ადამიანმა იცხოვროს აქტიურად, სრულფასოვანი ცხოვრებით, არ გაამახვილოს ყურადღება სნეულებებზე, რომელთა უმრავლესობაც მათივე საკუთარი „ფანტაზიის“ ნაყოფია.

ამჟამად მაზმიშვილი უკვე მარტოხელა ექიმბაში როდია. იმის შესაძლებლობა, რომ სრული უკუგებით გამოიყენოს თავისი ნიჭი, მას მისცა სამედიცინო-სამკურნალო ფირმა „ფანასკერტელმა“. მისი გენერალური დირექტორი სოსო თავხელიძე და მთავარი ექიმი გურამ ხაჭაპურიძე ყოველმხრივ ცდილობენ გააფართოვონ ფსიქოთერაპევტის საქმიანობის მასშტაბი.

საზღვარგარეთ — უდავიდარაბოდ

ისინი, ვინც საზღვარგარეთ სამუშაოდ ემზადებიან, ამიერიდან გაცილებით იოლად გააფორმებენ საჭირო დოკუმენტებს. ამის შესაძლებლობას იძლევა რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კეთილმომსახურების გაერთიანება „განთიადი“, რომლის ეგიდით დაარსდა მომსახურების ბიურო „ვიზა“.

—ჩვენმა ბიურომ,—ამბობს მომსახურების ბიურო „ვიზის“ გამგე მანანა მარჯანიძე,—პირველი ივნისიდან დაიწყო თბილისის რაიონების მოსახლეობისათვის კონტინენტის აღმოსავლეთში სტუმრის ვიზით გამგზავრების დოკუმენტების გაფორმება. აგვისტოდან ვაფორმებთ დასავლეთის ქვეყნებში გამგზავრების დოკუმენტებსაც, მაგრამ ჯერჯერობით—ვაკისა და საბურთალოს რაიონების მცხოვრებლებისათვის. თუ ამ ექსპერიმენტმა გაამართლა, მაშინ ჩვენი ფილიალები ქალაქის დანარჩენ რვა რაიონშიც დაიწყებენ მოქმედებას. ყოველ შემთხვევაში, მომსახურების ახალი ფორმა პოპულარობას იძენს მოსახლეობაში. კმაყოფილები არიან ვიზების განყოფილების თანამშრომლებიც—ჩვენ ხომ მათ ათასი დავიდარება ავაცილეთ თავიდან.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გასამგზავრებლად საჭიროა წარმოადგინოთ პასპორტი, მიწვევა, ცნობა სამუშაო ადგილიდან, 4X5 სანტიმეტრი ზომის ორი ფოტოსურათი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (თუ წამსვლელი არ მუშაობს), ბავშვებისათვის—დაბადების მოწმობის ასლი (თუ ბავშვი 7 წელზე მეტი ხნისაა და კიდევ ორი ფოტოსურათი), ქვითარი 31 მანეთის გადახდის შესახებ. მათ კი, ვინც კაპიტალისტურ ქვეყნებში მიემგზავრებიან, უნდა წარმოადგინონ პასპორტი, მიწვევის ორიგინალი და ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (უკანასკნელი 15 წლის), მიწვევის თარგმანი, სამხედრო ბილეთი, თუ არ მუშაობს, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4X5 სანტიმეტრი ზომის 6 ფოტოსურათი, ქვითარი 201 მანეთის სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ.

საინფორმაციო სააგენტო საქართველო.

რედაქტორის მოადგილე

მ. ძნელაძე.

ბიბლიოსაფეხური

ლეილა, გენო ღურჭუმალიძეებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. ღირსეული ქართველი ქალი გაზრდილიყოს.

ოტელო მდივანი, მიშა უგრეხელიძე, ჯემალ კოპალიანი, ქელეუები ახვლედიანი, სვეტა ჭიღვარია, სულიკო გვიშიანი, ზურაბ ხაბულიანი, დოდო დოლაბერიძე, პლატონ ირემაძე ოჯახებით.

თინა, ჟენეჟგი ახვლედიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. პაწიების სიმრავლეს გაეხარებინოს თქვენი ოჯახი.

ოტელო მდივანი, მიშა უგრეხელიძე, ჯემალ კოპალიანი, გენო ღურჭუმალიძე, სვეტა ჭიღვარია, სულიკო გვიშიანი, ზურაბ ხაბულიანი, დოდო დოლაბერიძე, პლატონ ირემაძე ოჯახებით.

ლამზირა, შურმან ყურაშვილებს

გილოცავთ შვილის შეძენას. ერის სასახელო ქალი გაზრდილიყოს. კიდევ მრავალ აკვანს დაემშვენებინოს თქვენი ფუძე-ჭერი.

„ცაგერი-რაიგაზის“ სამმართველოს თანამშრომლები.

რუსუდან ყურაშვილს

გილოცავთ ხალხური შემოქმედების საკავშირო ფესტივალზე მიღწეულ წარმატებას, ლაურეატის წოდების მინიჭებას, ოქროს medlით დაჯილდოებას. გისურვებთ ახალ წარმატებებს.

გერონტი ნემსწვერიძე, ნოდარ სილაგაძე, რუბენ, გელა ბენდელიანები, ანზორ კოპალიანი, მურთაზ გულბანი, მიშა ონიანი.

რუსუდან ყურაშვილს

გილოცავთ წარმატებას, ხალხური შემოქმედების საკავშირო ფესტივალის „იმედის“ პრიზის ლაურეატის წოდების მინიჭებას. გისურვებთ ახალ წარმატებებს.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ლია, თომა ხვადაგიანებს

გილოცავთ შვილის შეძენას. გამრავლება და სიხარული არ მოგეშალოთ!

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები.

მეუღლე შალვა, შვილები მერი, თამაზი, სიძეები შურმან, ბიკენტი სილაგაძეები, რძალი რუსუდან კიკალიშვილი, შვილიშვილები რამაზი, მალხაზი, მირზა, ხაზა, აზა, ძმები ილარიონ, მიშა, რძლები ლილი, ნადია, ლოლა, გულიკო, დენიკო, მულები დოდო, ნათელა, მარო, მაზლები დათიკო, გრიშა, ძმისშვილები, მულისშვილები, მაზლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ბაგრატის ასული ჭოხონელიძე-მეშველიანი

დაკრძალვა 1 დეკემბერს, შაბათს, სოფ. ჩხუტელში.

ოყურეშის საშუალო სკოლის 1982 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ გოგი უგრეხელიძეს მამის

შოთა ნიკოლოზის ძე უგრეხელიძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ომერი, შვილები თამაზი, თენგიზი, თემური, თამილა, ძმა მიშა, და ეთერი ოჯახებით, მული მაშიკო, რძლები მარგო, საშა, ელიზა, მადონა, სიძეები ჟორა რუხაძე, თემურ ლიპარტელიანი, შვილიშვილები გიორგი, გია, ნინო, მაია, მიშიკო, ლაშა, ძმისშვილები, დისშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნადია თეიმურაზის ასული ბენდელიანი-მინდაძე

დაკრძალვა 1 დეკემბერს, შაბათს, სოფ. ზუბში.

სერგო გასვიანი, არჩილ ჭაბუკიანი, ნოდარ, ჯემალ, ზურაბ ჯამბურიძეები, ბახვა კვენტაძე იუწყებიან დეიდის

ნაზი გუგავა-ონიანის

გარდაცვალებას.

ნოდარ მუშკუდიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალნენ

შოთა უგრეხელიძე

და

ჯემალ ყურაშვილი

ძმები ილარიონ, მიშა, რძლები ლოლა, ლილი, გულიკო, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ჭოხონელიძე-მეშველიანი

ბარდნალის საშუალო სკოლის 1989 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი გელა კოპალიანი თანაუგრძნობენ ნატო დავითულიანს ბიძის

ჯემალ ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილი მერი, რძლები ენენა, რუსუდან, რანეტა, შვილიშვილები, სერგო, ამირანი, ნათელა, მეელუდი, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მინადორა ფილიპეს ასული კოპალიანი-საღინაძე.

დაკრძალვა 1 დეკემბერს, შაბათს, სოფ. ლუხვანოში

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, დენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-5, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-26, შრომელთა წერილების განყოფილების—22-41 სკორექტორის—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საიმუნობრო საბჭოს—22-23, ვიზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4488

ხელმოწერილია ჩაბეჭდვაზე ხელმოწერის საინფორმაციო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული ფაბრიკის ცაგერის სტამბა.